კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქ.ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-8 გ კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	რევაზ ინანიშვილის მოთხრობა ,,მირანდუხტი“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	რა არის ბიუჯეტი, რას ნიშნავს ფინანსების დაზოგვა, საიდან გვაქვს შემოსავალი, რის შესაძენად ვიყენებთ თანხას და ა.შ. მომხმარებლის უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	ძირითადად გამოვიყენეთ სწავლების კონსტრუქტივისტული და ინტერაქტიული მეთოდი, მაგ.: კომენტირებული კითხვა,დისკუსია,როლური თამაში-ინსცენირება, ილუსტრაციების შექმნა.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	იდეების მოწოდების შემდეგ მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ მოთხრობის მიხედვით დაედგათ ინსცენირება, რისთვისაც გაიარეს შემდეგი ეტაპები: • წავიკითხეთ მოთხრობა და ერთად ვიმსჯელეთ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე. შეაფასეს თითოეული მათგანის ქცევა, კერძოდ, მაროს, მარგალიტასა და გერონტის დამოკიდებულება მომხმარებლებთან. მირანდუხტის, როგორც მომხმარებლის, უფლებებსა და პასუხისმგებლობაზე, იმაზე, თუ რამდენად დაცულია ჩვენი, როგორც მომხმარებლის, უფლებები. • მოეწყო დისკუსია ნაწარმოების თემასა და იდეაზე, ავტორის მთავარ სათქმელზე, რამდენად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ჩვენი უფლებები სხვადასხვა პროდუქტის შეძენის დროს. • შერჩეული ეპიზოდების მიხედვით შექმნეს ილუსტრაციები. • ინსცენირებისთვის შეარჩიეს სამსახიობო ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები. • გადაღებული მასალა მოსწავლეთა დახმარებით დამონტაჟდა და შეიქმნა ვიდეორესურსი.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	თანამედროვე სამყაროში ფინანსური განათლება სკოლის ასაკიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებს, რათა მომავალში სწორი ღირებულებები გამოუმუშავდეთ და იცხოვრონ კონკურენტუნარიან საზოგადოებაში. განხორციელებულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს შორის ფინანსური განათლების ცნობიერების ამაღლებას,აზროვნებისა და საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმოჩენას. მოსწავლეებს მოეწონათ პროექტი და სურვილი გამოთქვეს მომავალშიც მიიღონ მონაწილეობა მსგავს აქტივობაში.